პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

№ 44 (11957)
სამშაბათი,
21
თებერვალი,
1961 წ.

ფასი 2 კაპ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

*КОМУНИСТИ* — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

**გ**აცხოველებით მიმდინარეობს თესვა სიღნაღის რაიონის სოფელ მაღაროს კოლმეურნეობაში. აქ უკვე მთავრდება ქერის თესვა, რომელსაც 20 ჰექტარი უკავია. არტელში 150 ჰექტარი გამოყოფილია შვრიის, 1.100 ჰექტარი სიმინდის და 450 ჰექტარი მზესუმზირას დასათესად.

კარგად მუშაობს ამ დღეებში რესპუბლიკის დამსახურებული მექანიზატორი ი. ბაიდოშვილი. მისი ბრიგადა კომპლექსური მექანიზაციით დაამუშავებს 800 ჰექტარ სიმინდს და 200 ჰექტარ მზესუმზირას. ი. ბაიდოშვილმა ვალდებულება იკისრა თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მოიყვანოს 30 ცენტნერი სიმინდის მარცვალი, 50 ჰექტარ ფართობის ყოველ ჰექტარზე კი 60 ცენტნერი.

• • •

სურათზე: რესპუბლიკის დამსახურებული მექანიზატორი ი. ბაიდოშვილი.

ფოტო ი. ედიგარაშვილისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

# გაზეთ „სოვეტსკაია აბხაზიის“ რედაქციას

**საქართველოს** კპ ცენტრალური კომიტეტი ულოცავს გაზეთ „სოვეტსკაია აბხაზიის“ რედაქციის კოლექტივს, მუშა და სოფლის კორესპონდენტებს, მკითხველებს გაზეთის სახელოვან მე-40 წლისთავს.

მთელი ამ წლების მანძილზე „სოვეტსკაია აბხაზია“ პარტიული ორგანიზაციების ერთგული თანაშემწეა აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის აყვავებისათვის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში.

საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო და სოხუმის საქალაქო კომიტეტებისა და აფხაზეთის ასსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მებრძოლი ორგანოს დაბადების დღე აღინიშნება საყოველთაო-სახალხო პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ღირსშესანიშნავ ვითარებაში, რომელიც გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებმა.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი რწმენას გამოთქვამს, რომ „სოვეტსკაია აბხაზია“ კვლავაც იქნება საბჭოთა პრესის სახელოვანი ტრადიციების ერთგული, მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი ყოვლისმძლე იდეების მგზნებარე კოლექტიური პროპაგანდისტი და აგიტატორი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელთა ორგანიზატორი პარტიის დიად წინასწარმეტყველებათა შესრულებისათვის, შვიდწლედის მესამე წლის ამოცანათა განხორციელებისათვის.

დაე გაზეთის ფურცლებზე სულ უფრო მძლავრად გაისმოდეს მოწოდება — ღირსეულად შევხვდეთ ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის XXII ყრილობას, აღვნიშნოთ იგი სახელოვანი პატრიოტული საქმეებით სახალხო მეურნეობისა და საბჭოთა ხალხის კულტურის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის, ქალაქისა და სოფლის მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი დარწმუნებულია, რომ „სოვეტსკაია აბხაზია“ კვლავაც აღზრდის მშრომელებს საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, ხალხთა მეგობრობისა და ძმობის, ჩვენი საყვარელი საშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით.

**საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი.**

# „სოვეტსკაია აბხაზიის“ საიუბილეო საღამო

**სოხუმი.** (საკ. კორ.). საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის, სოხუმის საქალაქო კომიტეტისა და აფხაზეთის ასსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანოს გაზეთ „სოვეტსკაია აბხაზიის“ 40 წელი შეუსრულდა.

გაზეთ „სოვეტსკაია აფხაზიის“ სახელოვანი თარიღის აღსანიშნავად გუშინ სოხუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრში შეიკრიბნენ აფხაზეთის დედაქალაქის პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები, პრესის მუშაკები, მუშა და სოფლის კორესპონდენტები, მრავალი სტუმარი.

საიუბილეო საღამო მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანმა დ. გოგობიამ.

მოხსენება გაზეთ „სოვეტსკაია აბხაზიის“ მიერ განვლილი ორმოცი წლის შესახებ გააკეთა მისმა რედაქტორმა გ. სემიონოვმა.

სიტყვა ეძღვნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგეს ამხ. მ. გოგიჩაიშვილს, რომელმაც დამსწრეთა ტაშის გრიალში წაიკითხა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება გაზეთ „სოვეტსკაია აბხაზიის“ რედაქციისადმი.

იუბილარ გაზეთს მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს: საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა მ. ბღვარბამ, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ა. ოტირბამ, სოხუმის სტალინის სახელობის თამბაქოს ფაბრიკის ბრიგადის ხელმძღვანელმა კ. პოპანდოპულომ და სხვ.

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა მ. არგუნმა წაიკითხა მრძანებულება გაზეთ „სოვეტსკაია აბხაზიის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით დაჯილდოების შესახებ.

საიუბილეო საღამოს შემდეგ გაიმართა დიდი კონცერტი.

# საყოველთაო-სახალხო საქმე

**კომუნისტური** პარტიის, მთელი ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ცხოვრებაში ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმი.

„სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხები, — ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილებაში, — ყოველთვის უნდა იყოს ჩვენი პარტიის ყურადღების ცენტრში. თუ არ იქნება კარგად განვითარებული სოფლის მეურნეობა, თუ არ იქნება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვე, არ შეიძლება იყოს აყვავებული სოციალისტური ეკონომიკა. ბრძოლა სოფლის მეურნეობის განუხრელი აღმავლობისათვის კომუნისტური საზოგადოების აშენების უმნიშვნელოვანესი პირობაა, ეს ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო საქმეა“.

პარტიული ორგანიზაციები ადგილებზე, სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირები უდიდესი გულისყურით, საქმის არსში ღრმად ჩაწვდომით, წარმატებათა პროპაგანდისა და ნაკლოვანებების ბოლშევიკური პირდაპირობით მხილების ვითარებაში განიხილავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის შედეგებს და სახავენ გზებს ახალი ზღუდეების მიღწევისათვის, აკონკრეტებენ პლენუმის გადაწყვეტილებებს ადგილობრივი პირობების შესაბამისად.

ამას წინათ თბილისში გაიმართა ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირი, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა. ეს თათბირი, თათბირზე ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა ისტორიული მნიშვნელობის მოვლენაა ამიერკავკასიის, კერძოდ საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკების, მთელი ქართველი ხალხის ცხოვრებაში.

ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის წარმატებანი უდაოა. უკანასკნელ შვიდწლედში, წინა შვიდწლეულწადთან შედარებით, საქართველოში სახელმწიფოს მიეყიდა მეტი: 347.400 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, 407.900 ტონა ყურძენი, 283.500 ტონა კურკოვანი და თესლოვანი ხილი, 134.600 ტონა ხორცი და 301.000 ტონა რძე. 1960 წელს საქართველოში რეკორდული რაოდენობით მოიკრიფა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი — 157.000 ტონა. სახელმწიფოს მიეყიდა 80.500 ტონა ხილი. მნიშვნელოვანი მუშაობა შესრულდა საზოგადოებრივი მეცხოველეობის აღმავლობაში. გასულ წელს სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მიეყიდა 22.000 ტონა ხორცი, 9.200 ტონა რძე, დაახლოებით 5 მილიონი ცალი კვერცხი, 250 ტონა მატყლი.

მაგრამ მიღწეული წარმატებები ვერ დაგვაკმაყოფილებს. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ტემპები ჩამორჩება მოსახლეობის სულ უფრო მზარდ მოთხოვნილებას სასურსათო საქონელზე და პირველ რიგში, ხორცზე, რძეზე, კარაქზე. უფრო მეტიც, საქართველოს სოფლის მეურნეობაში სერიოზული ნაკლოვანებებია. ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, როგორც ეს სავსებით სწორად აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზე, ცუდად იყენებენ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების არსებულ დიდ შესაძლებლობებს, საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობა ნელა იზრდება, დიდია ცხვრის სიკვდილიანობა, კვლავ მცირეა მეცხოველეობის პროდუქტიულობა, ძალიან ცოტას აწარმოებენ საკვებს, თუმცა ხელსაყრელი კლიმატური პირობები საშუალებას იძლევა მოიყვანონ სიმინდისა და სხვა საკვები პროდუქტების უხვი მოსავალი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილება, ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე, რომლებშიც ესოდენ ღრმად არის ნაჩვენები მარცვლეული მეურნეობის აღმავლობის, საზოგადოებრივი მეცხოველეობისა და სოციალისტური სოფლის მეურნეობის სხვა დარგების განვითარების რეზერვები, გვიჩვენებენ ნათელ ლენინურ გზას, რომლითაც უნდა ვიაროთ, რომ დავძლიოთ ნაკლოვანებანი, მივაღწიოთ სოფლის მეურნეობის ახალ, მძლავრ აღმავლობას.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებს, მთელი ქართველი ხალხის საპატიო მოვალეობაა 1961 წელს — შვიდწლედის მესამე წელს აიღოს ახალი მიჯნები მარცვლეულს; ხორცის, რძის, მატყლის, კვერცხის, ჩაის, ყურძნის, ხილის, თამბაქოს წარმოებაში. ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირის მონაწილეების მიმართვაში საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის ყველა კოლმეურნისადმი, საბჭოთა მეურნეობებისა და სარემონტ-ტექნიკური სადგურების მუშებისადმი, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისა და ყველა მუშაკისადმი ნათქვამია, რომ საქართველოს შეუძლია მიჰყიდოს და კიდევაც უნდა მიჰყიდოს სახელმწიფოს 1961 წელს 10 მილიონი ფუთი მარცვლეული, 60.000 ტონა ხორცი, 145.000 ტონა რძე, 160.000-165.000 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, 150.000 ტონა ყურძენი, 85.000 ტონა ხილი, 29.000 ტონა ციტრუსები, 1.200 ტონა დაფნის ფოთოლი და ა. შ.

მარცვლეულის წარმოების მკვეთრი აღმავლობის მიზნით 1961 წელსვე უნდა მივიღოთ უხვმოსავლიან ნათესებში სიმინდი 60.000 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 60 ცენტნერი მარცვლად.

ამ დიდი ამოცანებისა და ვალდებულებების შესრულება მოითხოვს ყოველდღიურ დაძაბულ მუშაობას, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობას, კომუნისტურ ზრუნვას, რათა ვავლენდეთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადიდების უმდიდრეს რეზერვებს.

განსაკუთრებით საჭიროა მთელი ძალღონე მოვახმაროთ ორგანიზატორულ მუშაობას, სოფლის მეურნეობის მიღწევების დანერგვას, ყველას კუთვნილება უნდა გავხადოთ სოფლის მეურნეობის ნოვატორების, ჩვენი შუქურების მდიდარი გამოცდილება, შუქურებისა, რომლებიც გვიჩვენებენ სოფლის მეურნეობის სანიმუშო გაძღოლის, დიდი ნაყოფიერების გზას.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირის მონაწილეებმა, მათ შორის საქართველოს სოფლის მეურნეობის მოწინავეთა წარმომადგენლებმა, თავიანთ მისალმებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი პირობა მისცეს პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ამხანაგ ნიკიტა სერგეს-ძე ხრუშჩოვს, რომ კიდევ უფრო მაღლა ავწევთ შვიდწლედის მესამე წლის უხვი მოსავლისათვის დიდი საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების დროშას, მთლიანად და გადაჭარბებით შევასრულებთ ნაკისრ ვალდებულებებს, ღირსეულად შევხვდებით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობას.

ამ პირობის შესრულება საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკების, ყველა მშრომელის ღირსების საქმეა.

# ღირსეული შეხვედრა პარტიის ყრილობას

## სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული

**ამიერკავკასიის** რკინიგზაზე შეაჯამეს რკინიგზის ტრანსპორტის სამრეწველო საწარმოთა მიმდინარე წლის იანვრის სოციალისტური შეჯიბრების შედეგები, გზის კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა სახალხო-სამეურნეო ტვირთზიდვის იანვრის პროგრამა, მნიშვნელოვნად გადააჭარბა ელმავლებისა და ორთქლმავლების საშუალო სადღეღამისო გარბენის ნორმას, შესამჩნევად დაჩქარა აგრეთვე ვაგონების ბრუნვა.

სკკპ XXII ყრილობის აღსანიშნავად მაღალი საწარმოო ვალდებულებების შესრულებისათვის ბრძოლაში საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწიეს რუსთავის სატვირთო სადგურის, სამტრედიისა და სოხუმის სადგურების, სამტრედიის სავაგონო დეპოს, ოჩამჩირის სალიანდაგო დისტანციის, სოხუმის სალოკომოტივო დეპოს, სამტრედიის შენობათა და ნაგებობათა დისტანციის, სოხუმის ენერგომომარაგების უბნისა და ბზიფის ღორღის ქარხნის კოლექტივებმა. მათ მიენიჭათ პირველი ადგილი. მეორე ადგილები დაიკავეს: სატვირთო სადგურებს შორის — ჭიათურის სადგურის კოლექტივმა, მახარისხებელ სადგურებს შორის — ნავთლუღის სადგურმა, უბნის სადგურებს შორის — ზესტაფონის სადგურმა, სავაგონო დეპოებს შორის — თბილისის სამგზავრო სავაგონო დეპოს კოლექტივმა, სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის დისტანციებს შორის — ხაშურის სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის დისტანციის კოლექტივმა. აღნიშნულია აგრეთვე გორის ვოგზლის, თბილისის სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის დისტანციის, ხაშურის შენობათა და ნაგებობათა დისტანციისა და ამიერკავკასიის მაგისტრალის სხვა საწარმოებისა და სამსახურების კოლექტივების კარგი მუშაობა. (საქდესი).

**საჭიროა წინსვლა, საჭიროა წინ ვიხელმძღვანელოთ, საჭიროა ყრილობაზე მოვიტანოთ სამეურნეო მშენებლობის კარგად მოფიქრებული და ყურადღებით, პარტიის ყველა წევრის საერთო შრომით, საერთო ძალღონით გადამუშავებული პრაქტიკული გამოცდილება.**

ვ. ი. ლენინი.

ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 30 გვ. 488.

## მეტალურგთა შრომითი თავდადება

**ზესტაფონი.** (საკ. კორ.). მაღალნაყოფიერად დაამთავრეს გასული წელი ფეროშენობელებმა. მათ კიდევ უკეთ დაიწყეს ჩვენ შვიდწლედის მესამე წელი. მეტალურგები ჩაბმული არიან პარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში. ქარხნის კოლექტივმა იანვარში სამშობლოს მისცა ასობით ტონა ზეგეგმითი შენადნობი, შეამცირა მისი თვითღირებულება, ხოლო თებერვლის პირველი დეკადის დავალება 106 პროცენტით შეასრულა.

თავდადებულად შრომობენ პირველი და მეორე საამქროს კოლექტივები. პირველი საამქროს კოლექტივი ლითონის დნობის დავალებას გადაჭარბებით ასრულებს, მარტო იანვარში 210.000 კილოვატ-საათი ელექტროენერგია დაზოგა. გეგმის 112-115 პროცენტი — ასეთია მეორე საამქროს კოლექტივის მაჩვენებლები, საამქრო კომუნისტური შრომის საპატიო სახელწოდებისათვის იბრძვის. ჩვეული მოუღლელობით შრომობენ ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადები ი. კოვზირიძის, კ. მდივნის, კ. ცქიფურიშვილის, რ. სხილაძის, შ. დადუნაშვილის, ს. კვინკაძის, ს. ფერაძისა და ვ. ანჩიბაველის ხელმძღვანელობით. ისინი ყრილობისადმი მიძღვნილ შრომითს ვახტზე დგანან და ყოველდღიურად ზეგეგმითს ლითონს აღნობენ.

## აფართოებენ პროდუქციის ასორტიმენტს

**აბაშა.** (საკ. კორ.). ადგილობრივი მეურნეობის საწარმოთა მუშაკებმა ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება სკკპ მორიგი XXII ყრილობის შესახვედრად. მათ იკისრეს ათი თვის გეგმა შეასრულონ ყრილობის გახსნის დღესათვის — 17 ოქტომბრისათვის და გამოუშვან ზეგეგმითი აგური, ავეჯი, რეზინის ფეხსაცმელი, ლითონის ნაწარმი და სხვა პროდუქცია.

ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლაში უკვე მოპოვებულია პირველი წარმატებანი. მეავტოებმა იანვრის გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს, დაზოგეს საწვავი, ელექტროენერგია და მნიშვნელოვნად გაზარდეს შრომის ნაყოფიერება. ახლა აგურის ქარხანა ყოველდღიურ დავალებას 110-120 პროცენტით ასრულებს. ყოველდღიურ გეგმებს გადაჭარბებით ასრულებს აგრეთვე რეზინის ფეხსაცმლის, ავეჯის, ლითონის ნაწარმის, სახერხი ქარხნის და ადგილობრივი მეურნეობის სხვა საწარმოთა კოლექტივები.

იანვარში აქ დაიწყეს ლურსმნის წარმოება და რამდენიმე ტონა ლურსმანი უკვე მისცეს მშენებლებს. ადგილობრივი მეურნეობის კომბინატში პროდუქციის ასორტიმენტის გასაფართოებლად უკვე შეუდგნენ სახურავი მასალის საწარმოს მოწყობას.

# ბრძანებულება

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### გაზეთ „სოვეტსკაია აბხაზიის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

გაზეთ „სოვეტსკაია აბხაზიის“ პირველი ნომრის გამოსვლის მეორმოცე წლისთავთან დაკავშირებით გაზეთი „სოვეტსკაია აბხაზია“ დაჯილდოებულ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი**

ქ. თბილისი.
1961 წლის 18 თებერვალი.

# ნ. ი. მუსხელიშვილი და მ. ვ. კელდიში

## სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის საპატიო აკადემიკოსები არიან

**ერევანი,** 20 თებერვალი. (საქდესი). სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებამ, აღნიშნა რა გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერების, აკადემიკოსების ნ. ი. მუსხელიშვილისა და მ. ვ. კელდიშის დიდი დამსახურება მათემატიკისა და მექანიკის დარგში, აირჩია ისინი სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის საპატიო აკადემიკოსებად.

## „ბრძოლა ბელგიის საელჩოსთან ლონდონში

**ლონდონი,** 20 თებერვალი. (საკ. კორ.). პატრის ლუმუმბას ხსოვნის მასობრივი მიტინგის მონაწილეებს საათნახევრის განმავლობაში გუშინ ალყა შემორტყმული ჰქონდათ ბელგიის ლონდონის საელჩო, რითაც გამოხატეს თავიანთი მრისხანე პროტესტი იმის წინააღმდეგ, რომ ბელგიის მარიონეტებმა მხეცურად დახოცეს მგზნებარე კონგოელი პატრიოტი და მისი თანამებრძოლები.

დემონსტრანტების დიდმა ჯგუფმა შეძახილებით „მკვლელები“ გაარღვია პოლიციის კორდონები და მიიჭრა საელჩოსთან, მაგრამ ისინი დააკავეს პოლიციის გაძლიერებულმა რაზმებმა. რამდენიმე წუთს გაგრძელდა სასტიკი ბრძოლა, რომლის შედეგადაც პოლიციამ უკან დაახევინა დემონსტრანტებს საელჩოს შენობიდან.

დემონსტრანტების მეორე ჯგუფმა სცადა სხვა მხრიდან მიახლოებოდა ბელგიის საელჩოს. საელჩოსთან მათ ცხენოსანი პოლიცია შეხვდა. ამან ვერ შეაშინა დემონსტრანტები, მათ გაარღვიეს პოლიციის კორდონი და მიიჭრნენ საელჩოსთან.

უკანასკნელი ცნობებით, ბელგიის საელჩოსთან ამ დემონსტრაციის დროს პოლიციამ დააპატიმრა 30-მდე კაცი.

## პენტაგონის გეგმები

**ნიუ-იორკი,** 20 თებერვალი. (საკ. კორ.). „ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხუთი ხომალდი, — იუწყება გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი რეიმონდი, — გვინეის ყურეში არის აფრიკის ნავსადგურებში კეთილი ნების ვიზიტად ჩასვლის სამაბით“. „ნამდვილად კი, ბაზს უსვამს რეიმონდი, ეს ხომალდები იქ არიან იმ შემთხვევისათვის, თუ საჭირო გახდა საგანგებო ოპერაციები კონგოში შექმნილ კრიზისთან დაკავშირებით. მათ შორის არის ორი საფესანტო ხომალდი „ერმიტაჟი“ და „გრეჰემ კანტრი“, რომლებზეც იმყოფება 500 საზღვაო ქვეითი ჯარისკაცი, საესკადრო ნაღმოსნები „ფოგელგეზანგი“ და „გირინგი“ და პატარა ტანკური „ნესპელენი“. „ანალოგიური ნაოსნობა დასავლეთ აფრიკის ნავსადგურებისაკენ, აღნიშნავს კორესპონდენტი, მოხდა 1958-1959 წლებში ტრადიციული მიზნით „ეჩვენებინათ ალმები შეერთებული შტატების სამხედრო ძლიერების მოსაგონებლად“.

როგორც რეიმონდი იუწყება, პენტაგონის სპეციალისტები ამტკიცებენ გეგმებს, რომ „თუ საჭირო გახდა“ კონგოში გაგზავნონ ავიასადესანტო დივიზია და ქვეითი დივიზია, აგრეთვე მოსახერხებელი ნაწილები — სულ 80.000 კაცი.

## ა. ნ. კოსიგინი ინდოეთში ჩავიდა

**დელი,** 20 თებერვალი. (საკ. კორ.). დღეს დელიში ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ნერუს მიწვევით ჩამოვიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ნ. კოსიგინი.

## გაზეთ „ტრუდის“ 40 წლისთავი

**მოსკოვი,** 19 თებერვალი. (საკ. კორ.). ორმოცი წლის წინათ გამოვიდა საბჭოთა პროფკავშირების გაზეთ „ტრუდის“ პირველი ნომერი.

დღეს ჟურნალისტის ცენტრალურ სახლში გაიმართა რედაქციის კოლექტივის კრება, მიძღვნილი ამ ღირსშესანიშნავი თარიღისადმი. მოხსენება გააკეთა გაზეთის მთავარმა რედაქტორმა ა. ი. ბლატინმა.

ორმოცი წლის განმავლობაში გაზეთი „ტრუდი“ აშუქებს პროფკავშირული ორგანიზაციების აქტიურ მონაწილეობას ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობაში. პროფკავშირების წევრთა ცხოვრებასა და შრომაზე მუდმივად წერს ორი ათასზე მეტი მუშაკორესპონდენტი. მათ შორის არიან ჩვენი ქვეყნის წარჩინებული ადამიანები — ნიკოლოზ მამაი, ვალენტინა გაგანოვა, ალექსანდრე კოლჩიკი, ვიტალი სემინსკი.

გაზეთ „ტრუდის“ მუშაკებსა და მის მკითხველებს გულთბილად მიულოცეს გაზეთ „პრავდის“ მთავარმა რედაქტორმა პ. ა. სატიუკოვმა, ჟურნალისტთა კავშირის სახელით — კავშირის მდივანმა ბ. ს. ბურკოვმა, გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ მთავარმა რედაქტორმა ი. პ. ვორონოვმა, გაზეთ „იზვესტიის“ მთავარი რედაქტორის მოადგილემ ა. ვ. გრებენნიკოვმა, საკავშირო გენერალური დირექტორის მოადგილემ ვ. პ. ხატუნცევმა და სხვებმა.

# საბჭოთა კავშირ-განის ერთობლივი განცხადება

**აკრა,** 19 თებერვალი. (საკ. კორ.). აქ გამოქვეყნდა შემდეგი განცხადება პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის განაში ჩამოსვლის გამო:

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლეონიდე ილიას-ძე ბრეჟნევი გვინეის რესპუბლიკაში ოფიციალური ვიზიტის დამთავრების შემდეგ პრეზიდენტ კვამე ნკრუმას მოწვევით ეესტუმრა განის რესპუბლიკას. ლ. ი. ბრეჟნევს ახლდნენ: სსრ კავშირის კულტურის მინისტრის მოადგილე ა. ნ. კუზნეცოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ი. ა. მალიკი, საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ი. თ. სემიჩასტნოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ა. ი. ალიხანოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს აფრიკის 1-ლი განყოფილების გამგე ა. ა. შვედოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს აფრიკის მე-2 განყოფილების გამგე ვ. ა. ბრაკინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის სამდივნოს გამგე კ. უ. ჩერნენკო.

განის რესპუბლიკაში ყოფნის დროს 1961 წლის 17-18 თებერვალს ლ. ი. ბრეჟნევი და მისი თანამხლები პირები გაეცნენ განის დედაქალაქ აკრას, ეწვივნენ ქალაქებს ტემას, ახურის, ვინებას, აგრეთვე ლეგონის საუნივერსიტეტო კოლეჯსა და აჩიმოტის კოლეჯს. მოსახლეობა და ხელისუფალნი მათ ყველგან გულთბილად, მეგობრული სტუმართმოყვარეობით ხვდებოდნენ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს რამდენიმე შეხვედრა ჰქონდა პრეზიდენტ კვამე ნკრუმასთან, რომლის დროს ერთმანეთს გაუზიარეს აზრი ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხებზე. აზრთა გაზიარებამ მათ შორის, რაც მეგობრობისა და ურთიერთ გაგების სულისკვეთებით მიმდინარეობდა, გამოავლინა ორივე მხარის თვალსაზრისთა დამთხვევა საერთაშორისო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.

იზიარებენ, რა მთელი მსოფლიოს ხალხთა დიდ აღფოთებასა და გულისწყრომას, კონგოს ეროვნული გმირის აფრიკის დიდი შვილის პატრის ლუმუმბასა და მის თანამებრძოლთა ოკეტოსა და მპოლოს ავაზაკურად დახოცვის გამო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა და განის რესპუბლიკის პრეზიდენტმა კვამე ნკრუმამ გამოთქვეს ღრმა რწმენა, რომ კოლონიზატორთა და მათ დამქაშთა ვერავითარი ხრიკი ვერ შეუშლის ხელს მამაც კონგოელ ხალხს თავის ხელში აიღოს საკუთარი ბედი. კონგოს რესპუბლიკა იქნება თავისუფალი და თავის შესაფერ ადგილს დაიკავებს აფრიკის დამოუკიდებელ ეროვნულ სახელმწიფოთა ოჯახში.

საუბრებში შეეხნენ აგრეთვე საბჭოთა კავშირ-განის ურთიერთობას. ორივე მხარემ დიდი კმაყოფილებით აღნიშნა მეგობრული ურთიერთობის განვითარება და განმტკიცება სსრ კავშირსა და განის რესპუბლიკას შორის, რასაც საფუძვლად უდევს ინტერესთა ურთიერთშეტანილობა, მშვიდობიანი თანაარსებობის, სრული თანასწორუფლებიანობისა და ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპები. განსაკუთრებული კმაყოფილებით აღინიშნა საბჭოთა კავშირ-განის თანამშრომლობის წარმატებით განვითარება ეკონომიურ და მეცნიერულ-ტექნიკურ დარგებში, აგრეთვე სავაჭრო ურთიერთობისა და კულტურული კავშირის სფეროში.

ორივე მხარემ გამოთქვა რწმენა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის სტუმრობა განის რესპუბლიკაში ხელს შეუწყობს ორივე ქვეყნის მეგობრული ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას“.

# ᲛᲬᲧᲔᲛᲘᲡᲘ ᲐᲚᲑᲝᲜᲘ

### ᲜᲐᲠᲙᲕᲔᲕᲘ

ᲛᲗᲔᲑᲘᲡ მრისხანება ოდნავაც ვერ აშინებდა იოსებ ლაგაზაშვილს. მართალია, მაშინ მას საულვაშეზე პირველი ღინღლი ეჩინეოდა, მაგრამ უკვე შემოვლილი ჰქონდა თუშეთისა და მთიულეთ-გუდამაყრის მწვერვალები. ჭაბუკმა მწყემსმა მალე გათქვა სახელი ცხვრის გულმოდგინე მოვლა-პატრონობით, სიჩაუქით, პატიოსნებით.

მაგრამ სანამ სახელოვანი მწყემსი გახდებოდა, აღრე დაობლებული იოსები შირაქში იყო მოჯამაგირედ. სწორედ იქ, ივრის ჭალებში გაიცნო მან ჭართლელი მეცხვარე სიმონ კოტორაშვილი, რომელსაც გულით მოეწონა გამბედავი, მუხლმაგარი, მტკიცე ნებისყოფის ჭაბუკი, მოეწონა და მაშინვე უთხრა:

— წამოდი მთაში, შვილივით მიგიღებს ჩემი ჯალაბი.

იოსებს უარი არ უთქვამს, სხვათაშვილობაში გაზრდილს მშობლიური ალერსი ენატრებოდა. ჭართლელ კოტორაშვილებში კი მან ნამდვილი მშობლები ჰპოვა.

გავიდა დღეები. ლაგაზაშვილი მთის კაცი გახდა, ხარობდა, როცა ფარას უძღოდა...

მზიან ამინდში მთებში ყოფნას არაფერი სჯობდა. ცის სილაჟვარდე და ნაირფერი ყვავილები ატკბობდნენ მზერას. მორაკრაკე ცივი წყაროები ხახადაღებულ ხევებში მოეშურებოდნენ.

ბინებში სითბო და ცხვრის მჭახე სუნი იდგა. ამიტომ საღამოობით მის ახლოს ანთებდნენ გიზგიზა ცეცხლს. დაღლილი მწყემსები თვლემდნენ ან ტკბილად საუბრობდნენ კოცონთან. გაჭირვება მაშინ იყო, როცა მთები შუბლს შეიკრავდნენ და კოკისპირულს დაუშვებდა, საზარლად დაიქუხებდა მეხი, ჩაქუფრულ ცაზე ელვა იკლაკნებოდა, წვიმისაგან გალუმპული ბიჭები ფარას ვერ ტოვებდნენ, რადგან ჭექა-ქუხილი აფრთხობდა ცხვარს. ყოფილა შემთხვევა, როცა თავგზააბნეული და შიშნაკრავი ცხვარი უფსკრულში გადაჩეხილა.

თუმცა ეს, როგორც იტყვიან, თაფლი და შაქარი იყო კასპიის-პირეთთან შედარებით, სადაც თექვსმეტი წლის იოსები პირველად მოხვდა. გაკვირვებას გამოთქვამდა ჭაბუკი, ნოღაის ველებს ზღვასავით კიდეგანი არ უჩანდა, მთებს მიჩვეული, იგი ერთგვარი შიშით "გასცქეროდა უსასრულო ტრამალებს. ოდნავ შესამჩნევი ბილიკები იქვე ავშანსა და ვაციწვერაში იკარგებოდა. იყო დღეები, როცა ცასა და მიწას შორის საზღვარი იშლებოდა.

— არ მიიწყინო, ბიჭავ! — ეტყოდა ხოლმე მამობილი, მთელ ჭართალში განთქმული თავჩობანი სიმონ კოტორაშვილი, მერე ნიკაპს აუწევდა დაკოჟრებული ხელით და თვალებში ჩახედავდა:

— მალე გაზაფხული მოვა, მწყემსის გამლადებელი.

მოსაწყენად როდი ეცალა იოსებს, ყოველდღე ათასნაირი საქმე ელოდა. ახლოვდებოდა დოლი, საჭირო იყო ფარეხების შეკეთება, ბინების დათბუნება, ცხვრის მწყემსვა. ადრევე ჰქონდა შესისხლხორცებული, რომ გამბედაობა, სიძნელეთა დაძლევა, მუხლისა და ნებისყოფის გაკაჟება თვითეული ვაჟკაცის მოვალეობაა.

დადგა ზამთარი, ჩრდილოეთის ქარი ზათქით და ზუზუნით შლიდა ნაკვალევს, ცხვარი მაინც ძოვდა ავშანს, საღამოთი მწყემსები გაშვარტლულ მიწურში ისხდნენ შუაცეცხლთან.



ᲛᲬᲧᲔᲛᲡᲘᲡ წიგნი და გაზეთი ხალხური ლექსები და ზღაპრები იყო. ქოერაში იწრთობა ფოლადი, შრომაში პრიალდება სახნისი. ასეა კაციც. მწყემსურ ცხოვრებაში ყალიბდებოდა იოსების ხასიათი. ბევრი განსაცდელი გადაიტანა კავკასიონის მთებსა და ნოღაეთის ტრამალებში, მაგრამ არასოდეს არ დამარცხებულა.

გადიოდა წლები. იოსები თანდათან ეუფლებოდა მეცხვარეობაში ყველაზე რთულ, ყველაზე საოცარ საქმეს — მცნობარობას. რომ ჰკითხოთ, რა არის საჭირო მცნობარი რომ გახდეო, იოსები ამომწურავ პასუხს ვერ გაგცემთ. გულისყური? არა, მარტო ეს როდი კმარა. მახსოვრობა? ეს ნიჭი ბევრს აქვს, მაგრამ მცნობარი მაინც ვერ გამხდარა. მაშ რა არის საჭირო? გულისყურიც და მახსოვრობაც, განსაკუთრებული ალღოც და კიდევ რაღაც, რომლის სახელი არავინ იცის.

— ცხვარს არ ეღალატების ისე, როგორც საკუთარ პირმშოს, წამგლეჯი კაცი მგელზე უარესია, — იტყოდნენ ხოლმე ბერიკაცები, და ეს მცნებაც სამუდამოდ აღიბეჭდა ლაგაზაშვილის გულსა და სულში, მას თავიდანვე ეზიზღება წამგლეჯები, რომლებიც აქა-იქ კიდევ შემორჩენილან და მტაცებელივით უთვალთვალებენ საერთო ფარას.

საკოლმეურნეო დოვლათის ერთგული, პატიოსანი, ასეთი სახელი დაიმკვიდრა იოსებმა და დღემდე უფრთხილდება თვალისჩინივით.

...გაზაფხულზე ნოღაეთიდან დაიძრა ცხვრით დატვირთული ავტომანქანები. მწყემსებს შორის იოსებ ლაგაზაშვილს ვეძებდი, მაგრამ ამაოდ. ბოლოს, სადღაც ლარსის მისადგომებთან, ჭართელი კაცი შეგვხვდა.

— იოსები გინდათ? — გვითხრა, — ტყუილად ეძებთ, კასპიისპირეთში დარჩა თავის ფარასთან და მთელ ზაფხულს იქ გაატარებს.

გაგვიკვირდა ეს ამბავი, რადგან ყველამ იცის, რა სიხარულს განიცდიან ქართველი მწყემსები, როცა სამშობლოსაკენ მოეშურებიან.

რატომ დარჩა იქ იოსები?

ᲛᲬᲧᲔᲛᲡᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲐᲢᲘᲝᲡᲜᲝᲑᲐ

ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲛᲪᲜᲝᲑᲐᲠᲘ

ᲛᲬᲧᲔᲛᲡᲘᲡ ᲡᲐᲣᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ

ᲛᲐᲓᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲐᲮᲘᲡᲘᲗᲘ

ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲗ

ᲛᲬᲧᲔᲛᲡᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲐᲢᲘᲝᲡᲜᲝᲑᲐ

ᲛᲔᲪᲮᲕᲐᲠᲔᲝᲑᲐ

# გულითადი შეხვედრები,

## გულწრფელი სურვილები

**აკრა,** 18 თებერვალი. (საკდესი). სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი, რომელიც აქ შეგობრულ ვიზიტად იმყოფება, გუშინ დღის პირველ ნახევარში ეწვია მშენებარე ნავსადგურსა და ქალაქ ტემას. მას ახლდნენ განის სახელმწიფო მინისტრი უგალა და განის ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მინისტრი კრობო ედუსეი.

**აკრა,** 18 თებერვალი. (საკდესი). გუშინ ნაშუადღევს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი განის საგარეო საქმეთა მინისტრის აკო აჯეისა და საზოგადოებრივ სამუშაოთა და საბინაო მშენებლობის მინისტრის ზანასას თანხლებით ეწვია ბოტანიკურ ბაღს დაბა აბურიში.

ბოტანიკური ბაღიდან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი გაეგზავრა ლეგონის საუნივერსიტეტო კოლეჯში.

**აკრა,** 19 თებერვალი. (საკდესი). გუშინ დღის პირველ ნახევარში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი ეწვია პრეზიდენტ ნკრუმას და მეგობრული საუბარი ჰქონდა მასთან.

საუბრის შემდეგ ლ. ი. ბრეჟნევი და პრეზიდენტი ნკრუმა მივიდნენ კრების სახალხო პარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობაში და იყვნენ განის პროფკავშირთა კონგრესის შენობაში, სადაც მათ გულთბილად შეხვდა მუშათა დიდი ჯგუფი, რომლებიც ასრულებდნენ „ინტერნაციონალს“. დაათვალიერეს რა განის პროფკავშირთა კონგრესის შენობა და ესაუბრნენ კონგრესის ხელმძღვანელებსა და მუშებს, ლ. ი. ბრეჟნევი და პრეზიდენტი ნკრუმა მივიდნენ ფერმერთა შენობაში.

ნაშუადღევს პრეზიდენტი ნკრუმა მიგიდა ლ. ი. ბრეჟნევის რეზიდენციაში და მასთან ერთად გაეგზავრა ქალაქ ვინებაში კრების სახალხო პარტიის უმაღლესი პარტიული სკოლის საძირკვლის ჩაყრის ცერემონიაზე.

„ამ მოვლენასთან დაკავშირებით ვინებაში გაიმართა მასობრივი მიტინგი, ქალაქის მცხოვრებნი გამოვიდნენ ქუჩებში და გულთბილად მიესალმებოდნენ ლ. ი. ბრეჟნევსა და პრეზიდენტ ნკრუმას. მთავარი ტრიბუნის ზემოთ ფრიალებდა საბჭოთა კავშირისა და განის სახელმწიფო ალმები. მიტინგის მონაწილენი მჭუხარე ტაშით შეხვდნენ ლ. ი. ბრეჟნევსა და ნკრუმას, რომლებიც ტრიბუნაზე ავიდნენ. მიტინგის მონაწილეებს ეუბნათ ტრანსპარანტები, რომელთაც ეწერა: „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირ-განის ურღვევ მეგობრობას“, „ქეთილი იყოს თქვენი მობრძანება, პრეზიდენტო ლეონიდ ბრეჟნევ“, „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს — აფრიკის ხალხთა ერთგულ მეგობარს“.

მიტინგი გახსნა ვინების რაიონულმა კომისარმა ავუტიმ. ქალაქის ყველა მოქალაქის სახელით იგი გულთბილად მიესალმა საპატიო საბჭოთა სტუმარს ლ. ი. ბრეჟნევსა და პრეზიდენტ ნკრუმას, განის მინისტრებს, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებსა და სხვა სტუმრებს, რომლებიც ზემოზე ჩავიდნენ ვინებაში.

ავუტიმ სიტყვა მისცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს. მიტინგის ყველა მონაწილე მჭუხარე ტაშით და სიხარულის შეძახილებით შეხვდა საპატიო საბჭოთა სტუმარს.

ლ. ი. ბრეჟნევმა ილაპარაკა სსრ კავშირისა და განის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებაზე, რაც ემყარება თანასწორობის, ურთიერთპატივისცემის, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპებს. მან აღნიშნა, რომ აფრიკის ხალხთა ბრძოლას იმისათვის, რომ გაანთავისუფლონ თავიანთი კონტინენტი ყველა ფორმის კოლონიალიზმისაგან, გადაქცეონ აფრიკა ატომური იარაღისა და უცხოელთა ბაზებისაგან თავისუფალ ზონად, ისტორიული მნიშვნელობა აქვს და ერწყმის მთელი მსოფლიოს ხალხთა მძლავრ მორალობას მშვიდობისა და მშვიდობიანი თანაარსებობისათვის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, იმისათვის, რომ დაეყოვნებლივ გადაიკრას თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი პრობლემა — საყოველთაო და სრული განიარაღების პრობლემა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის სიტყვა მიტინგის ყველა მონაწილემ უდიდესი ყურადღებით მოისმინა და ხშირად შეაწყვეტინეს მჭუხარე ტაშითა და მოწონების შეძახილებით.

ლ. ი. ბრეჟნევის შემდეგ მიკროფონთან მივიდა პრეზიდენტი ნკრუმა, რომელმაც წარმოთქვა დიდი პოლიტიკური სიტყვა.

მიტინგის მონაწილეები უდიდესი გულისწყრომითა და აღშფოთებით შეხვდნენ პრეზიდენტ ნკრუმას სიტყვებს იმის შესახებ, რომ მიღებული სარწმუნო მონაცემებით, პატრის ლუმუმბასა და მისი ორი ერთგული თანამებრძოლის ავტოსაკური დახოცვა ჩადენილ იქნა ჯერ კიდევ 18 იანვარს. სამივე — ლუმუმბა, მპოლო და ოკიტო — ცალცალკე დახვრიტა ერთმა ბელგიელმა ოფიცერმა მას შემდეგ, რაც აფრიკელმა ჯარისკაცებმა უარი განაცხადეს შეესრულებინათ ბრძანება.

სიტყვის დამთავრების შემდეგ პრეზიდენტმა ნკრუმამ კრების ეროვნული პარტიის ხელმძღვანელთა თანხლებით შეასრულა პარტიული სკოლის შენობის საძირკველში პირველი აგურის ჩადების ცერემონია.

ტრიბუნაზე ავიდნენ განის ქალთა მოძრაობის მოღვაწეები და გადასცეს ლ. ი. ბრეჟნევს საჩუქარი — „განის ოქროს გერბი. ლ. ი. ბრეჟნევმა გულითადი მადლობა გადუხადა ძვირფასი საჩუქრისათვის და მაგრად ჩამოართვა ხელი მათ.

გვიან საღამოს ლ. ი. ბრეჟნევი პრეზიდენტ ნკრუმასა და განის მთელი რიგი მინისტრების თანხლებით დაბრუნდა თავის რეზიდენციაში. ვინებასაკენ წასვლისას და უკან გამობრუნებისას ათასობით მცხოვრები გულთბილად ხვდებოდნენ ლ. ი. ბრეჟნევსა და პრეზიდენტ ნკრუმას.

**აკრა,** 19 თებერვალი. (საკდესი). სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი დღეს აკრიდან გამოფრინდა, სადაც იგი მეგობრულ ვიზიტად იმყოფებოდა განის რესპუბლიკის პრეზიდენტის კვამე ნკრუმას მიწვევით.

**რაბათი,** 19 თებერვალი. (საკდესი). დღეს აქ ჩამოვიდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი და მისი თანმხლები პირნი, რომლებიც აკრიდან სამშობლოში მოემგზავრებიან.

**რაბათი,** 19 თებერვალი. (საკდესი). დღეს რაბათში ჩამოვიდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი და მისი თანმხლები პირნი.

აეროდრომზე ლ. ი. ბრეჟნევს შეხვდნენ მეფე მოჰამედ V, მაროკოს მთავრობის წევრები, სსრ კავშირის ელჩი მაროკოში დ. პ. პოკიანეკი და საბჭოთა საელჩოს თანამშრომლები.

რაბათში თავისი ხანმოკლე გაჩერების დროს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე იქნება მეფე მოჰამედ V სტუმარი.

ხვალ დილით ლ. ი. ბრეჟნევი და მისი თანმხლები პირნი სამშობლოში გამოფრინდებიან.

**აკრა,** 19 თებერვალი. (საკდესი). დღეს დილით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი და მისი თანმხლები პირნი სამშობლოში გაფრინდნენ.

დიდი ხნით ადრე, სანამ მთავრობის კორტეჟი აეროპორტისაკენ გაიგზავნა, დედაქალაქის ათასობით მცხოვრები გამოვიდა ქალაქის ქუჩებში საპატიო საბჭოთა სტუმრის გასაცილებლად. ლ. ი. ბრეჟნევის გასაცილებლად აეროდრომზე მოვიდნენ განის მთავრობის მინისტრები, დიპლომატიური კორპუსის წევრები, კრების სახალხო პარტიის, პროფკავშირთა კონგრესის, ქალთა და ახალგაზრდობის ორგანიზაციების ხელმძღვანელები, ადგილობრივი პრესის, რადიოსა და კინოქრონიკის წარმომადგენლები. აეროდრომი მორთულია საბჭოთა კავშირისა და განის სახელმწიფო ალმებით. ჩამწკრივებულია საპატიო ყარაული.

ლ. ი. ბრეჟნევი აეროდრომზე მოვიდა განის პრეზიდენტის კვამე ნკრუმას თანხლებით. ორკესტრი ასრულებს საბჭოთა კავშირისა და განის სახელმწიფო ჰიმნებს. ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო საპატიო ყარაული უფროსის პატაკი და პრეზიდენტ ნკრუმასთან ერთად ჩამოუარა საპატიო ყარაულის მწყობრს. შემდეგ ლ. ი. ბრეჟნევმა გამოსათხოვარი სიტყვით მიმართა დასწრეებს.

მიკროფონთან მიდის პრეზიდენტი კვამე ნკრუმა. იგი ლ. ი. ბრეჟნევს უსურვებს ბედნიერ მგზავრობას, ერთხელ კიდევ მადლობას უღიენის იმისათვის, რომ ეწვია განას, და სთხოვს მხურვალე სალამი და საუკეთესო სურვილები გადასცეს საბჭოთა ხალხს და მის მთავრობას ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით.

ზუსტად 9 საათსა და 30 წუთზე გრინვიჩის დროით (12 საათსა და 30 წუთზე მოსკოვის დროით) „ილ-18“ თვითმფრინავი, რომელშიც იმყოფებიან ლ. ი. ბრეჟნევი და მისი თანმხლები პირნი, ტოვებს სტუმართმოყვარე განას.

## „ეს დიდი სიურპრიზია“

**ლონდონი,** 20 თებერვალი. (საკდესი). პრეს ასოციეიშნის სააგენტოს კორესპონდენტი წერს: ათი წლის კატრინ მანდიმ მოიკრიბა გამბედაობა და პირადი წერილი მისწერა ნ. ს. ხრუშჩოვს. იგი აგროვებს დედამიწის ყველა ქვეყნის მინიატურული თოჯინების კოლექციას და ძალიან სჭირდებოდა რუსული თოჯინა. „გეთაყვათ, ბ-ნ. ხრუშჩოვ, — წერდა იგი ლაკონურად, სკოლის სტილით, — იქნება რუსული თოჯინა გამომგზავნოთ. თუ დამეხმარებით, სიხარულით გამოვუგზავნი ინგლისურ თოჯინას თქვენს ერთ-ერთ შვილიშვილს“.

მან კონვერტს დაუწერა მისამართი: „ბ-ნ ხრუშჩოვს, კრემლი, მოსკოვი“, დაკრა 3 პენსიანი მარკა და ჩააგდო წერილი საფოსტო ყუთში.

საბჭოთა პრემიერი ფრიად კეთილი აღმოჩნდა. კატრინმა, რომელიც ბერკშირის საგრაფოს სოფელ ბრაიტველში ცხოვრობს, შაბათს მიიღო ამანათი, რომელშიც რუსული თოჯინა იყო.

თოჯინასთან ერთად მიიღო ბარათი: „ძვირფასო მეგობარო, თქვენი თხოვნის პასუხად გიგზავნით ხის თოჯინას. საბჭოთა ბავშვებს ძალიან უყვართ ეს სათამაშო და „მატროშკას“ ეძახიან.

„ეს დიდი სიურპრიზია, — თქვა კატრინმა, რომლის კოლექციაშიც ახლა 15 ეროვნული ტანსაცმლით გამოწყობილი თოჯინაა. ახლა კატრინი და დედამისი ჩამოვლიან მთელი არემარის მაღაზიებს, რათა იპოვონ ინგლისური თოჯინა ბ-ნ ხრუშჩოვის შვილიშვილისათვის.

## ო. მ. ნემსაძე

**უეცრად** გარდაიცვალა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერების, განათლებისა და სოციალურ-კულტურული დაწესებულებების განყოფილების გამგე ოთარ მიხეილის-ძე ნემსაძე, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე პარტიისა და ხალხის სამსახურს მოახმარა.

ო. მ. ნემსაძე დაიბადა 1915 წელს ქ. თბილისში. შრომითი საქმიანობა დაიწყო 1932 წელს. თბილისის პედაგოგიური ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ 1932-1940 წლებში მუშაობდა მასწავლებლად, სასწავლო ნაწილის გამგედ და სკოლის დირექტორად ჯერ სამგორის რაიონის ს. შინდისში, ხოლო შემდეგ ქ. თბილისში.

ო. მ. ნემსაძე დიდი სამამულო ომის მონაწილე იყო. დემობილიზაციის შემდეგ 1944 წლიდან მუშაობდა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სასკოლო განყოფილების გამგის მოადგილედ, შემდეგ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების განყოფილების ინსტრუქტორად. 1949 წელს იგი ამთავრებს თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს.

1951 წელს ო. მ. ნემსაძეს ირჩევენ საქართველოს კომპარტიის საგარეჯოს რაიკომის მეორე მდივნად, ხოლო 1952 წელს — პირველ მდივნად. შემდეგ იგი სამუშაოდ გადაიყვანეს საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტში პარტიული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილედ.

1955-1960 წლებში მუშაობდა საქართველოს ალკალინიანი ბიჭვინთიანა ... ლისის ორგანიზაციის კალინინის რაიკომის პირველ მდივნად, ხოლო სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერების, განათლებისა და სოციალურ-კულტურული დაწესებულებების განყოფილების გამგედ.

ო. მ. ნემსაძე კომკავშირის რიგებში იყო 1930 წლიდან, ხოლო 1941 წელს მიიღეს სკკპ წევრად. იგი არჩეული იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის წევრად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. სამშობლოს წინაშე დამსახურებისა და უმწიკვლო მუშაობისათვის მას მიღებული ჰქონდა მთავრობის მრავალი ჯილდო.

ო. მ. ნემსაძე იყო ენერგიული, გულისხმიერი და თავმდაბალი კომუნისტი, გამოირჩეოდა პრინციპულობით, ორგანიზატორული ნიჭითა და შრომისმოყვარეობით, ცხადყოფდა მშობლიური კომუნისტური პარტიისა და სამშობლოსადმი უანგარო სამსახურის მაგალითს, სადაც კი მუშაობდა — პარტიულ, საბჭოთა და კომკავშირულ სამუშაოზე, იგი ყველგან იმსახურებდა მშრომელთა დიდ სიყვარულსა და პატივისცემას.

ოთარ მიხეილის-ძე ნემსაძის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი მეგობრებისა და ამხანაგების გულში.

**ამხანაგების ჯგუფი.**

**23 თებერვალს ო. მ. ნემსაძის ცხედარი დასვენებული იქნება ქ. თბილისის მასწავლებლის სახლში (ფუცელაძის ქ. № 8). გამოსვენება 23 თებერვალს, 4 საათზე. დაკრძალვა ვაკის სასაფლაოზე.**

# საბჭოთა კავშირი

## აფრიკის ხალხთა მეგობარია

## რიგითი ამერიკელები — კუბის მხარეზე

## კონგოელ პატრიოტთა საქმე გაიმარჯვებს

### ლუმუმბა აფრიკელთა სიმგოლოა თავისუფლებისათვის გრძოლაში

### გულგარელი ხალხის მხარდაჭერა კონგოელ პატრიოტებს

**სოფია,** 18 თებერვალი. (საკდესი). როგორც ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ანტონ იუგოვმა კონგოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ანტუან გიზენგას გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის სახელით, საკუთრივ თავისი სახელითა და მთელი ბულგარელი ხალხის სახელით ღრმა და გულითადი სამძიმარი გამოხატა პატრის ლუმუმბასა და მისი თანამებრძოლების ოკიტოსა და მპოლოს მხეცური დახოცვის გამო.

კონგოს ეროვნული გმირისა და მისი ამხანაგების ცხოვრება, მათი ბრძოლა კოლონიური მონობის წინააღმდეგ, თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, ნათქვამია დეპეშაში, ხალხის ინტერესებისადმი, მშვიდობისა და დემოკრატიის საქმისადმი უანგარო სამსახურის მაგალითია.

გამოთქვამს რა მრისხანე გულისწყრომასა და პროტესტს ჩადენილი ბოროტმოქმედების წინააღმდეგ, ბულგარელი ხალხი იზიარებს კონგოელი ხალხის დიდ მწუხარებას კონგოს რესპუბლიკის ერთგული შვილების უმძიმესი დანაკარგის გამო, ბულგარელი ხალხი დარწმუნებულია, რომ საქმე, რომელსაც მათ შესწირეს თავიანთი სიცოცხლე, — კონგოელ პატრიოტთა ბრძოლა ხელშია და რომ იგი ძვლავ გაიმარჯვებს.

ჩვენ გვინდა დაგარწმუნოთ, რომ თქვენ ყოველმხრივ მხარს გიჭერენ ბულგარელი ხალხი და მისი მთავრობა თქვენი სამართლიანი საქმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

**ნიუ-იორკი,** 19 თებერვალი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნომ გამოაქვეყნა განის პრეზიდენტ კვამე ნკრუმასაგან მიღებული წერილი კონგოში არსებული მდგომარეობის საკითხზე.

„თუ ჩვენ გვსურს შევინარჩუნოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრესტიჟი და უზრუნველვყოთ მშვიდობა აფრიკაში, — აღნიშნულია წერილში, — ახლა დადგა მომენტი, როცა საჭიროა მივიღოთ ახალი და სერიოზული ღონისძიებანი“.

„ამიერიდან, — ხაზგასმით აღნიშნავს ნკრუმა, — ინიციატივა უნდა გამომდინარეობდეს აფრიკის ქვეყნებისაგან და მიღებულ იქნეს სამხედრო დახმარება აზიის ქვეყნებიდან“.

„მთელი ინიციატივა და დახმარება, — ნათქვამია წერილში, — რომელიც გამომდინარეობს დიდი სახელმწიფოებისა ან ნატოს მონაწილე ქვეყნებისაგან, უნდა შეწყდეს, იარაღისა და საჯურვლის ნაკადი, რომელიც კონგოში მიდის, ქმნის პირობებს, რომლებსაც შეიძლება მოჰყვეს იმ ტიპის სამოქალაქო ომი, როგორიც ესპანეთში იყო, რასაც სერიოზული შედეგები მოჰყვება მსოფლიოს ყველა ქვეყნისათვის, ბელგიის მთელი სამხედრო, ნახევრადსამხედრო და სხვა პერსონალი დაუყოვნებლივ უნდა გაიყვანონ კონგოდან“.

პრეზიდენტ ნკრუმას მიერ წამოყენებული გეგმის შესაბამისად კონგოში უნდა შეიქმნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ახალი სარდლობა, რომელშიც შევლენ აფრიკის ქვეყნების წარმომადგენლები, ამ სარდლობამ უნდა იკისროს სრული პასუხისმგებლობა კონგოში წესრიგისა და კანონიერების დაცვისათვის.

ნკრუმას მიაჩნია, რომ კონგოს მთელი შეიარაღებული ძალები უნდა განიარაღონ. ეს განიარაღება გულისხმობს მათ დაბრუნებას ყაზარმებში და იარაღის გადაცემას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ახალი სარდლობისათვის.

მთელი არა აფრიკული პერსონალი, რომელიც კონგოს არმიაში მსახურობს, დაუყოვნებლივ უნდა დაითხოვონ.

როგორც კი სამხედრო მდგომარეობა მოწესრიგდება, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ახალმა სარდლობამ უნდა გაათავისუფლოს ყველა პოლიტიკური პატიმარი და განაახლოს პარლამენტის საქმიანობა.

უცხოეთის ყველა დიპლომატიურმა მისიამ და წარმომადგენელმა უნდა დატოვოს კონგო მთელ ამ პერიოდში.

## ინდონეზიამ ცნო გიზენგას მთავრობა

**ჯაკარტა,** 18 თებერვალი. (საკდესი). ინდონეზიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა დღეს განაცხადა, რომ ინდონეზიის რესპუბლიკის მთავრობამ გუშინ ანტუან გიზენგას გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც შეეთვალა, რომ ცნობს მას კონგოს რესპუბლიკის კანონიერი მთავრობის მეთაურად.

ინდონეზიის მთავრობამ ამ დეპეშაში აგრეთვე გამოთქვა ინდონეზიის მთავრობისა და ხალხის მწუხარება პატრის ლუმუმბას მოკვლის გამო.

## ლუმუმბას ქვრივი სტენლივილს ჩავიდა

**ბელგრადი,** 18 თებერვალი. (საკდესი). გუშინ კონგოს მოკლული პრემიერ-მინისტრის პატრის ლუმუმბას ქვრივი ოპანგა პოლინ ლუმუმბა უახლოეს ნათესავებთან და მორის მპოლოსა და ჯოზეფ ოკიტოს ბავშვებთან ერთად სპეციალური თვითმფრინავით სტენლივილს ჩავიდა. ამას იუწყება ლეოპოლდვილიდან ტანიუგის სააგენტოს კორესპონდენტი.

უკანასკნელ დღეებში პატრის ლუმუმბას ოჯახის წევრები ყოველთვის მზად იყვნენ, არსად არ გადიოდნენ, მათ უშუალოდ იცავდნენ მოკლული პრემიერ-მინისტრის ლუმუმბას პოლიტიკური მომხრენი.

**პარიზი,** 19 თებერვალი. (საკდესი). დღეს კატანგის მარიონეტული ხროვის მეთაურმა ჩომბემ კონგოში ჰამარშელდის სპეციალური წარმომადგენლის დაიალის სახელზე გაგზავნილ წერილში უარი თქვა მისცეს პატრის ლუმუმბას, მორის მპოლოსა და ჯოზეფ ოკიტოს გვამები მათ ოჯახებს ან აცნობოს, სად არიან ისინი დასაფლავებული.

## ჩომგე უარს ამგოგს

ეს წერილი, იუწყება ფრანს პრესის სააგენტო, პასუხია დაიალას წერილზე, რომელიც მოითხოვდა ლუმუმბასა და მისი ორი თანამებრძოლის გვამების მიცემას.

ჩომბეს პასუხიდან ჩანს, რომ კატანგის ხელისუფლებს განზრახული აქვთ კვლავაც „საიდუმლოდ იქონიონ“ კონგოელ გმირთა საფლავი.

## საბჭოთა ელჩი შეხვდა ადენაუერს

**ბონი,** 18 თებერვალი. (საკდესი), გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სსრ კავშირის საელჩოს პრესის განყოფილებამ გუშინ გამოქვეყნა შემდეგი ცნობა:

გუშინ ნაშუადღევს სსრ კავშირის ელჩი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ა. ა. სმირნოვი ეწვია ფედერალურ კანცლერ ადენაუერს. გამართული საუბრის დროს ელჩმა გადასცა ფედერალურ კანცლერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის კეთილი სურვილები და წ. ს. ხრუშჩოვის პასუხი ფედერალური კანცლერის 1960 წლის 18 ოქტომბრის წერილზე. შემდეგ ელჩმა დაწვრილებით დაალაცნო საბჭოთა მთავრობის თვალსაზრისი სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობის ძირითად საკითხებზე, ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ დაიდოს საზავო ხელშეკრულება. საბჭოთა ელჩმა ამ საკითხზე გადასცა სამახსოვრო ბარათი.

ფედერალურმა კანცლერმა მადლობა გადაიხადა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის კეთილი სურვილებისათვის და განაცხადა, რომ სამახსოვრო ბარათს გულდასმით შეისწავლის.

## ლუმუმბას მკვლელობა წინასწარ მზადდებოდა

**ლონდონი,** 19 თებერვალი. (საკდესი). საეკვოა კატანგაში მოიპოვებოდეს თუნდაც ერთი კაცი, რომელსაც სჯერა, რომ ლუმუმბა და მისი ამხანაგები დაიღუპნენ გაქცევის ცდის დროს, წერს დღეს გაზეთი „სანდი ტაიმსი“, რომელსაც მოათავსა თავისი სპეციალური ელიზაბეტვილელი კორესპონდენტის სტატია.

„ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე მანამდე, — ნათქვამია სტატიაში, — სანამ მიღებულ იქნა ცნობა ლუმუმბასა და მისი მეგობრების ოკიტოსა და მპოლოს დახოცვის შესახებ, იგრძნობოდა, რომ მზადდება მკვლელობა“.

კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ განცხადებას სამი კონგოელი პატრიოტის დაღუპვის შესახებ ელიზაბეტვილში დაწვრილებით წინასწარმეტყველებდნენ ჯერ კიდევ ორი დღით ადრე, სანამ იგი გამოქვეყნდა. ხალხის უმრავლესობა ელიზაბეტვილში ფიქრობს, რომ ლუმუმბა დაიღუპა მალე მას შემდეგ, რაც იგი 17 იანვარს ჩაიყვანეს კატანგაში.

„იმ პირმა, რომელმაც ინფორმაცია გადმომცა, — წერს კორესპონდენტი, — განაცხადა, რომ ლუმუმბა და მისი კოლეგები გაგზავნეს ვილაში ელიზაბეტვილის მიდამოებში, ხოლო რამდენიმე საათის ან, შესაძლებელია, ერთი დღის შემდეგ ისინი წაიყვანეს ტყეში. როცა დაბნელდა, ისინი დაჰყარეს მიწაზე და ტყვიამფრქვეველი დახვრიტეს“.

**კონგოელი ხალხის ეროვნული გმირის პატრის ლუმუმბას ვერაგულად მოკვლამ უდიდესი აღშფოთება გამოიწვია მსოფლიოს ყველა ქვეყანაში.**

**სურათზე: პარიზში ბელგიის საელჩოს წინ. დემონსტრანტებს მოაქვთ ტრანსპარანტები ლოზუნგებით: „სიკვდილი კოლონიალიზმს!“**

**ფოტო ფრანგულ გაზეთ „ლიბერასიონიდან“.**

## „ლანდი მწერლები“

**ამერიკაში ზოგჯერ ამბობენ, პრეზიდენტის სიტყვები კარგია იმდენად, რამდენადაც მათი შემდგენლები სულელები არ არიანო. ამ სიტყვების ავტორებს, რომლებიც ხალხისათვის უნიადაგ და ზოგჯერ უცნობიც არიან, „ლანდ მწერლებს“ ეძახიან. ზოგიერთ პრეზიდენტს ჰყავდა ერთი-ორი კაცი, რომლებიც მათს სიტყვებს ამზადებდნენ. პრეზიდენტ კენედის ასეთი „ლანდი მწერლების“ ჯგუფი ჰყავს. საშინაო და საგარეო პოლიტიკის სხვადასხვა საკითხებზე კონსულტანტებთან ერთად ისინი შედიან პრეზიდენტის ეგრეთწოდებულ „ტვინის ტრესტში“.**

**ეურნალები „ტაიმი“ და „იუნაიტედ სტეიტს ნიუს ენდ უორლდ რიპორტი“, აგრეთვე გაზეთები „ნიუ-იორკ პოსტი“ და „უოლ-სტრიტ ჯორნელი“ მოგვითხრობენ ამ „ტვინის ტრესტის“ სამ წევრზე. ესენი არიან არტურ შლეზინგერი, არჩიბალდ კოქსი და თეოდორ სორენსენი. ისინი უალრესად აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ კენედის იმ საზეიმო სიტყვის მომზადებაში, რომელიც მან პრეზიდენტის პოსტის დაკავების დღეს წარმოთქვა, აგრეთვე „ქვეყნის მდგომარეობის შესახებ“ წერილის შედგენაში.**

**პროფესორი შლეზინგერი ამერიკაში ცნობილი ისტორიკოსი და სოციოლოგი, მრავალი წიგნის, მათ შორის ფრანკლინ რუზველტის სამტომიანი ბიოგრაფიის ავტორია. 1952 წელს იგი აქტიურად უჭერდა მხარს ედლაი სტივენსონს, რითაც მაკარტის გულისწყრომა და თავდასხმები დიმსახურა. უკანასკნელი საარჩევნო კამპანიის დროს შლეზინგერმა გამოუშვა წიგნი „კენედი თუ ნიქსონი: არის თუ არა განსხვავება?“. წიგნმა ერთგვარი როლი შეასრულა კენედის მიერ ამერიკის შეერთებული შტატების ინტელიგენციის ხმების მოგებაში. შლეზინგერის შეხედულებანი ასახულია კენედის ბევრ სიტყვაში, სადაც ლაპარაკია ამერიკის „სულიერ დაავადებებზე“, მორალურ ფასეულობათა შეძენის საჭიროებაზე, „ახალ ჰორიზონტებზე“.**

**პროფესორი არჩიბალდ კოქსი კენედის ამას წინათ იუსტიციის მინისტრის თანაშემწედ დანიშნა. კოქსი სპეციალისტია პროფკავშირთა საკითხებში. იგი დიდხანს ხელფასის სტაბილიზაციის სამმართველოს მეთაური იყო.**

**კენედის სიტყვების მომზადების დროს კოქსი მუშაობს ქვეყნის საშინაო მდგომარეობისადმი მიძღვნილ განყოფილებებზე.**

**თეოდორ სორენსენს კენედის „ალტერ ეგოს“ უწოდებენ ჯერ კიდევ მას შემდეგ, რაც ახლანდელი პრეზიდენტი სენატორი იყო მასაჩუსეტსის შტატიდან. იგი პოლიტიკური „ლანდი მწერლების“ ტიპიური წარმომადგელია: სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე სენატის ქვეკომისიის კლერკის პატარა პოსტი რომ ეკავა, იგი წინასაარჩევნო კამპანიის დროს პოლიტიკურ საკითხებში კენედის ერთ-ერთი მთავარი მრჩეველი და მისი სიტყვების ყველაზე ენერგიული შემდგენელი იყო. სორენსენი ფაქტიური რედაქტორი იყო წიგნისა „მშვიდობის სტრატეგია“, სადაც შეკრებილია პრეზიდენტის ყველაზე მნიშვნელოვანი სიტყვები.**

**გაზეთ „უოლ-სტრიტ ჯორნელის“ ცნობით, სორენსენმა შეადგინა აგრეთვე იმ სიტყვის გეგმა, რომელიც კენედიმ პრეზიდენტის პოსტის დაკავების გამო წარმოთქვა.**

## „მკვლევარი IX“ ორბიტაზე გავიდა

**ნიუ-იორკი,** 18 თებერვალი. (საკდესი). როგორც საინფორმაციო საგენტოები იუწყებიან, ატლანტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნულმა სამმართველომ გაანაცხადა, რომ დასავლეთ ბურთი, რომელიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 16 თებერვალს გაუშვეს, ორბიტაზე გავიდა.

მანამდე იუწყებოდნენ, რომ ბურთი გაშვების შემდეგ დაეკარგათ მხედველობიდან.

**ნიუ-იორკი,** 18 თებერვალი. (საკდესი). გუშინ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საპაერო ძალებმა გაუშვეს თანამგზავრი „დისკავერერი“, რომლისგანაც, როგორც იუწყებიან, ოთხი დღის შემდეგ გადმოვარდება 136 კილოგრამი წონის კაფსულა.

გაშვებიდან 90 წუთის შემდეგ სამხედრო-საპაერო ძალების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ხელოვნური თანამგზავრი გავიდა ორბიტაზე.

## ამერიკაში გაუშვეს თანამგზავრი „დისკავერერ — XXI“

**ნიუ-იორკი,** 19 თებერვალი. (საკდესი). როგორც საინფორმაციო საგენტოები იუწყებიან, გუშინ ვანდენბერგის (კალიფორნიის შტატი) ავიაბაზიდან გაშვებული ამერიკული თანამგზავრი „დისკავერერ-XXI“, რომელსაც შეუძლია შეიცვალოს კურსი დედამიწიდან მიღებული სიგნალით, ორბიტაზე გავიდა. თანამგზავრი ამ რაკეტის მეორე საფეხურია, რომელიც აღუურვილია ისეთი ძრავით, რომელსაც შეუძლია შეწყვეტოს და განაახლოს მუშაობა. თანამგზავრმა თავისი პირველი შემოვლა დედამიწის გარშემო დაამთავრა 93,8 წუთში. მეორე შემოვლა მოუვლია ძრავით 4 წუთით უფრო მეტ ხანს გრძელდებოდა.

„დისკავერერ-XXI“ აღჭურვილია დედამიწის სითბური გამოსხივების გასაზომი აპარატურით.

## მალის რესპუბლიკამ ცნო ალჟირის დროებითი მთავრობა

**ლონდონი,** 20 თებერვალი. (საკდესი). როგორც რეიტერის საგენტო იუწყება, მალის რესპუბლიკამ ცნო ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობა და განაცხადა, რომ განზრახული აქვს დიპლომატიური ურთიერთობა დაამყაროს მასთან. მალის რესპუბლიკის მთავრობა პირობას იძლევა სრული მხარდაჭერა გაუწიოს ალჟირელი ხალხის ბრძოლას თავისუფლებისა

# ᲥᲔᲑᲘ, ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ, ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

## ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲖᲔᲘᲛᲖᲔ

**ზ. ფალიაშვილის** სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში 18 თებერვალს გაიმართა საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავისადმი მიძღვნილი IX საუბნო რესპუბლიკური ოლიმპიადის მორიგი კონცერტი.

...ახსნება ფარდა, ამ დღეს მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივების დათვალიერების დაწყება ხვდა წულუკიძის აბრეშუმის ძაფსაღებსაგრეხი ფაბრიკის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს, ანსამბლის ხელმძღვანელე ბმა მ. სებუამ და მ. ბერგაძემ მთელი ძალღონე მოახმარეს იმას, რომ ანსამბლი წარმატებით გამოსულიყო მრავალთხოვნი თბილისელი მაყურებლის წინაშე. მაყურებლები მოწონებით შეხვდნენ კომპოზიტორ დ. არაყიშვილის სიმღერას „სიშმობლო და გამარჯვება“ პოეტ ი. გრიშაშვილის სიტყვებზე, ა. აზმაიფარაშვილის სიმღერას „დიდება პარტიას“ ბ. გრუზინსკის სიტყვებზე და ხალხურ სახუმარო სიმღერას „სიყვარული არ იქნება ძალადა“, რომლებიც გულის ჩამწვდომად შეასრულა ანსამბლმა.

წარმტაცი იყო მაიაკოვსკის რაიონის კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის გამოსვლა. მსმენელები თბილად შეხვდნენ ხალხურ სიმღერებს — „იმერულ მგზავრულს“, პოეტ ნ. გურგაშიძის სიტყვებზე, „იმერულ სატრფიალოს“ და „სალამი თბილისს“ (კომპოზიტორი გ. კოკელაძე), რომლებიც შეასრულეს მათთვის დამახასიათებელი კოლორიტით.

წალკის რაიონის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის წევრებმა შეასრულეს აზერბაიჯანული სიმღერა „სურეია“, არაბული სიმღერა „შალაბია“, რომელიც კარგად შეასრულა პიონერხელმძღვანელმა კ. ტრიანდოფილდიმ.

მაყურებელთა სიმპათია დაიმსახურა ჩხოროწყუს კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ხალხურმა ანსამბლმა (ხელმძღვანელები ო. ლეთანძე, ნ. ძანძავა), რომელმაც თავისი კონცერტი დაიწყო ძველებური ხალხური სიმღერით „იერიში“. მისი შესრულებით აღორდა ხალხური სიმღერა „მეჩაიეთა პატაკი“ და კომპოზიტორ გ. კოკელაძის „აყვავებული საქართველო“.

დიდი წარმატება ხვდა წილად თელავის კულტურის სახლის ანსამბლს. გუნდმა შეასრულა ხალხური სიმღერები „მომკალის სიმღერა“, „კახეთზე“. ერთსულოვანი ტაშით დაჯილდოეს მაყურებლებმა ქორეოგრაფიული ჯგუფი, რომელმაც შეასრულა ცეკვები „მეგობრობა“ და „ქართული“ (სოლისტები ფ. თარხნიშვილი და მ. თვალიაშვილი). ოლიმპიადაზე პირველად აღდერდა ანსამბლის ხელმძღვანელის კონსტრუქციის „ჩანგის“ მელოდიური ხმები (ხელმძღვანელები ფ. მახათელაშვილი და მ. შუბაშეელი). თეთრი წყაროს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის რეპერტუარში შეტანილი იყო „სიმღერა თეთრ წყაროზე“, „საცეკვაო“ და სხვა.

## ᲩᲔᲛᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘ

### ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲩᲐᲛᲝᲕᲐ ᲞᲝᲠᲢᲣ�გᲐᲚᲘᲔᲚᲘ ᲓᲘᲠᲘᲟᲝᲠᲘ

**ᲚᲔᲜᲘᲜ�გᲠᲐᲓᲘ,** (საკდესი). სსრ კავშირში საგასტროლოდ ჩამოვიდა 38 წლის პორტუგალიელი დირიჟორი ანტონიო დე ალმეიდა, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა ორკესტრს დირიჟორობდა. აქ მან გამართა პირველი კონცერტი ლენინგრადის მ. ი. გლინკას სახელობის აკადემიური კაპელის დარბაზში. პორტუგალიელი დირიჟორი გამოვიდა ფილარმონიის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად. შესრულებული იყო ვ. მოცარტის სიმფონია რე მაჟორი, რ. შუმანის მეორე სიმფონია, ი. სანტოსის უვერტიურები და გ. ბერლიოზის „რომაული კარნავალი“.

მსმენელები გულთბილად მიესალმნენ ახალგაზრდა დირიჟორს.

ანტონიო დე ალმეიდა კიდევ ერთ კონცერტს გამართავს ლენინგრადში. შემდეგ მისი კონცერტები გაიმართება ტალინში, რიგაში, თბილისსა და მოსკოვში.

### „ᲝᲠᲘ ᲥᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ“

**ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ** ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრმა მაყურებელს უჩვენა პრემიერა — სამმოქმედებიანი მუსიკალური კომედია „ორი ქალიშვილი“ (მუსიკა — შ. ჯოჯუასი, ლიბრეტო ო. რაზმაძისა და ნ. მასხარაშვილისა).

„ორი ქალიშვილი“ ასახავს საბჭოთა ახალგაზრდობისა და ინტელიგენციის ცხოვრებას, უჩვენებს მოწინავე ადამიანების მისწრაფებებს, ამასთან ამხილებს ჩვენს საზოგადოებაში ჯერ კიდევ შემორჩენილ მახინჯ მოვლენებს.

სპექტაკლში მთავარ როლებს ასრულებდნენ საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი მ. ბერიაშვილი, მსახიობები ბ. იანეარაშვილი, ე. გურაშვილი, ა. ჯანელიძე, თ. ხელაშვილი, ი. ქუთათელაძე, ჯ. თალაკვაძე, დ. ხელაშვილი და სხვ.

დადგმა ეკუთვნის საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს ბ. გამრეკელს. დირიჟორია მ. ბორჩხაძე. სპექტაკლი მხატვრულად გაფორმა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ი. ასკოვამ, ცეკვები დადგა დ. მაჭავარიანმა.

პრემიერა მაყურებელმა გულთბილად მიიღო.

## ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘ

### ᲩᲕᲔᲜᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲔᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐᲡ

**ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ** სტუმრად ჩამოვიდა უნგრეთის მშვიდობის დაცვის საბჭოს დელეგაცია. დელეგაციის ხელმძღვანელია უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, უნგრეთის მშვიდობის დაცვის საბჭოს თავმჯდომარე და უნგრეთის ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარე არპად საკაშირი.

გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტი ეწვია მას და ესაუბრა.

— რა არის თქვენი მოგზაურობის მიზანი?

— ჩვენი დელეგაციის მიზანია შეისწავლოს და გაეცნოს მშვიდობის დაცვის კომიტეტის მუშაობას. ჩვენთვის, აუცილებელი იყო საბჭოთა კავშირში ჩამოსვლა. მინდა გითხრათ, რომ საერთაშორისო მოძრაობა მშვიდობისათვის ვერ იქნება ეფექტური, თუ არ იქნება მჭიდრო კონტაქტი ქვეყნებს შორის, უფრო მეტიც, თუ თვით სოციალისტურ ქვეყნებს შორისაც არ იქნება ნამდვილი კავშირი, თუ არ დავამყარეთ უფრო ხშირი და ინტენსიური კონტაქტი. ეს მეტად სასარგებლო საქმეა. ამაში ერთხელ კიდევ დავრწმუნდით ახლახან მოსკოვში, სადაც დიდად გავამდიდრეთ ჩვენი გამოცდილება ამ მხრივ.

რომ შეიძინო მეგობრები, ამისთვის საჭიროა ნახო ადამიანები, გაეცნო მათ,

### ᲒᲕᲔᲥᲜᲔᲑᲐ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲤᲘᲚᲛᲘ

**ᲣᲙᲐᲕ** ორი თვეა საქართველოში კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მოწვევით იმყოფებიან ცნობილი რუსი მწერალი ნ. შპანოვი და კინოდრამატურგი ა. ფილიმონოვი. შპანოვი ცნობილია როგორც ბევრი საინტერესო ნაწარმოების ავტორი. მკითხველებში დიდი პოპულარობით სარგებლობენ მისი წიგნები „პირველი დარტყმა“, „ომის გამჩაღებლები“, „შეთქმულები“ და სხვ.

კინოდრამატურგი ა. ფილიმონოვი ავტორია მრავალი ფილმისა, მათ შორის აღსანიშნავია „პირველი ხელთათმანი“ და სხვები. იგი მუშაობდა „გიორგი საკაძის“ სცენარზეც.

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ესაუბრა ნ. შპანოვს, სთხოვა გაეცნო მკითხველებისათვის შემოქმედებითი გეგმები.

— ჩემი და ჩემი მეგობრის, კინოდრამატურგ ფილიმონოვის აქ ჩამოსვლის მიზანი იყო, — თქვა მან, — დაგვემთავრებინა მუშაობა სცენარზე.

ფილმი ფართო დიაპაზონს მოიცავს. იგი შეეხება საერთაშორისო ცხოვრებას. აქ წარმოდგენილი იქნება დასავლეთ გერმანიის მილიტარისტების და ამერიკელი კაპიტალისტების, ცდა გააჩაღონ ატომური ომი. მაგრამ ეძლევა მშვიდობისმოყვარე ხალხის ნება, ისინი არ მისცემენ უფლებას რევანშ[illegible] ევროპასა და საბჭოთა კავშირში. სცენარზე მუშაობა უკვე დამთავრებული გვაქვს. ამ დღეებში მას განიხილავს თბილისის კინოსტუდიის სამხატვრო საბჭო.

• • •

**ᲡᲣᲠᲐᲗᲝᲑᲖᲔ:** მწერალი ნ. შპანოვი (მარჯვნივ) და კინოდრამატურგი ა. ფილიმონოვი.

ფოტო ო. არობელიძისა.

## ᲩᲐᲓᲠᲐᲙᲘ

### ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲝᲡᲢᲐᲢᲘᲡ Ვ. ᲒᲝᲒᲚᲘᲫᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲗ

**სსრ** კავშირის ამას წინათ დამთავრებულ XXVIII საჭადრაკო ჩემპიონატში ბევრი საინტერესო პარტია გათამაშდა. გაზეთ „იზვესტიის“ რედაქციამ დაიწყო სპეციალური პრიზი „ტურნირის საუკეთესო პარტიისათვის“. ეს პრიზი მიეკუთვნა გროსმაისტერ იური ავერბახს საერთაშორისო ოსტატ ს. ფურმანთან პარტიაში.

ქვემოთ მოგვყავს ეს პარტია:

**ᲔᲡ�პᲐᲜᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ**

**ი. ᲐᲕᲔᲠᲑᲐᲮᲘ** (თეთრები) — **ს. ᲤᲣᲠᲛᲐᲜᲘ** (შავები)

1. e4 e5 2. ᲒF3 ᲒC6 3. ᲒB5 a6 4. ᲒA4 ᲒF6 5. 0—0 ᲒE7 6. ᲔE1 b5 7. ᲒB3 d6 8. c3 0—0 9. h3 ᲒB8 (გათამაშებულია ესპანური პარტიის ცნობილი ვარიანტი. ამ მდგომარეობაში ჩვეულებრივად თამაშობენ 9... ᲒA5 10. ᲒC2 c5 შემდეგ ᲚC7 ლაბიერის ფლანგზე თამაშით. შავების უკანასკნელი სვლა გ. ბორისენკოსა და ს. ფურმანის სიახლეა, რაც მათ რამდენიმე წლის წინათ გამოიყენეს) 10. d4 ᲒBD7 (აი რაში მდგომარეობს მხედრის გადაყვანის იდეა—შავები ერთხელ კიდევ იცავენ „e5“ უჯრედს) 11. c4! c6 12. c5! dc 13. de ᲓE8 14. e6 fe 15. ᲒE6+ ᲛᲔh8 16. ᲒC3 ᲒC7 17. ᲒF5 c4 18. ᲒF4 (თამაშის დასაწყისი აშკარად თეთრების სასარგებლოდ წარიმართა— მათ უპირატესობა აქვთ ფიგურების განვითარებაში) 18... ᲓE6 19. ᲒG3 ᲓEc5 20. ᲒD4 ᲚB6 21. e5 ᲔD8

ს. ᲤᲣᲠᲛᲐᲜᲘ



a b c d e f g h

ი. ᲐᲕᲔᲠᲑᲐᲮᲘ

ყველა შავი ფიგურა ლაბიერის ფლანგზეა. ამ გარემოებას კარგად იყენებს გროსმაისტერი ავერბახი, რომელიც მოდგენო სვლით იერიშს იწყებს მოწინააღმდეგის განმარტოებულ მეფეზე) 22 g:h7 ᲛᲔh7 23. ᲚH5+ ᲛᲔᲒᲔ8 24. ᲒF5 ᲒF8 25. ᲚG6! ᲛᲔh8 (იმუქრებოდა 26. ᲛH6+ ᲛᲔh8 27. ᲒF7+ ᲛᲔᲒᲔ8 28. ᲒG5, რასაც შამათი მოჰყვებოდა) 26. ᲓE4 ᲓE6 27. ᲒF6! (გვერდს უვლის მხედრის აღებასთან დაკავშირებულ გართულებებს, რომლებიც შავებისათვის იქნებოდა ხელსაყრელი) 27... ᲒF6 (შავები წააგებდნენ აგრეთვე 27... gf-ის შემდეგ, რაზეც თეთრები აპირებდნენ ეპასუხნათ 28. ᲔE4 ᲒG7 29. ᲔH4+ ᲛᲔᲒᲔ8 30. ᲛH6+ ᲛᲔh8 31. ᲒF7++ და შამათი შემდეგ სვლაზე) 28. ef ᲒA7. 29. ᲔE4 ᲒF4 30. g:f4 ᲒF5 31. g:f5 ᲔD5 32. g:d5 შავები დანებდნენ. არ შეიძლება ეტლის აღება, რადგან 33. fg+-ის შემდეგ ლაბიერი იკარგება, შემდეგ კი 34. ᲚB6.

გროსმაისტერ ი. ავერბახის მიერ კარგად გათამაშებული დებიუტი დამთავრდა თანმიმდევრულად ჩატარებული ხანგრძლივი იერიშით მოწინააღმდეგის მეფეზე.

## „ᲐᲦᲢᲐᲪᲔᲒᲣᲚᲘ ᲕᲐᲠ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲭᲐᲓᲠᲐᲙᲔ ᲥᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲗ“

**ᲧᲝᲕᲔᲚᲘ** ახალი სახელის გამოჩენას — მეცნიერებაში იქნება ეს თუ ხელოვნებაში, ლიტერატურასა თუ სპორტში, ჩვენი საზოგადოება დიდი გულისყურით აკვირდება. ასე მოხდა საბჭოთა კავშირის ოცდამერვე საჭადრაკო ჩემპიონატშიც — საჭადრაკო მსოფლიოსათვის ცნობილი გახდა ლეონიდ შტეინის სახელი. ეს შავგვრემანი, მაღალი ტანის ახალგაზრდა ამჟამად თბილისში იმყოფება, კონკურსგარეშე მონაწილეობს ჭადრაკში საქართველოს საიუბილეო ჩემპიონატში.

აქამდე მას ჟურნალ-გაზეთებიდან სურათებით ვიცნობდი. გუშინ, როცა სასტუმრო „თბილისში“ გავემგზავრე მისგან ინტერვიუს ასაღებად, იგი პროსპექტზე შემხვდა. გაცნობის შემდეგ საუბარი ძალაუნებურად ჭადრაკზე დავიწყეთ.

— ამ რამდენიმე წლის წინათ მარტო ჩემს მშობლიურ ლვოვში მიცნობდნენ, როგორც მოჭადრაკეს. შარშან უკრაინის ჩემპიონობა მოვიპოვე და ცნობილი გავხდი ჩემი რესპუბლიკის ჭადრაკის გულშემატკივრებისათვის. წელს პირველად ვმონაწილეობდი საბჭოთა კავშირის საჭადრაკო ჩემპიონატში და გროსმაისტერ ეფიმ გელერთან ერთად მესამე და მეოთხე ადგილები გავიყავით, ბრინჯაოს medali მოვიპოვე და მსოფლიო პირველობის გათამაშების საზონათაშორისო ტურნირში მონაწილეობის უფლება მივიღე. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ საგროსმაისტერო ბალი დავაგროვე, რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ ამ წარმატებით. ეს ჩემი 12 წლის განუწყვეტელი მუშაობის შედეგია. ვნახოთ რა წარმატებებს მომიტანს მომავალი.

საქართველოში პირველად ვარ. მშვენიერი ამინდია თბილისში. ამ ორიოდე დღის მანძილზე ბევრის ნახვა ვერ მოვასწარი, მაგრამ უცხო კაცისათვის ისიც კმარა, თვალი გადავაყოლ რუსთველის ულამაზეს პროსპექტს და შესანიშნავი შთაბეჭდილებებით დაბრუნდეს მშობლიურ კუთხეში.

საჭადრაკო დაფის ბევრ ქართველ თანამებრძოლს ვიცნობ. აღტაცებული ვარ ქართველი მოჭადრაკე ქალიშვილების მოზდენილი და კომბინაციური თამაშით.

## ᲩᲐᲓᲠᲐᲙᲘ

### ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲝᲡᲢᲐᲢᲘᲡ Ⅴ. ᲒᲝᲒᲚᲘᲫᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲗ

**ᲡᲡᲠ** კავშირის ამას წინათ დამთავრებულ XXVIII საჭადრაკო ჩემპიონატში ბევრი საინტერესო პარტია გათამაშდა. გაზეთ „იზვესტიის“ რედაქციამ დაიწყო სპეციალური პრიზი „ტურნირის საუკეთესო პარტიისათვის“. ეს პრიზი მიეკუთვნა გროსმაისტერ **იური ავერბახს** საერთაშორისო ოსტატ ს. ფურმანთან პარტიაში.

ქვემოთ მოგვყავს ეს პარტია:

**ᲔᲡᲞᲐᲜᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ**

**Ი. ᲐᲕᲔᲠᲑᲐᲮᲘ** (თეთრები) — **ს. ᲤᲣᲠᲛᲐᲜᲘ** (შავები)

1. e4 e5 2. ᲒF3 ᲒC6 3. ᲒB5 a6 4. ᲒA4 ᲒF6 5. 0—0 ᲒE7 6. ᲔE1 b5 7. ᲒB3 d6 8. c3 0—0 9. h3 ᲒB8 (გათამაშებულია ესპანური პარტიის ცნობილი ვარიანტი. ამ მდგომარეობაში ჩვეულებრივად თამაშობენ 9... ᲒA5 10. ᲒC2 c5 შემდეგ ᲚC7 ლაბიერის ფლანგზე თამაშით. შავების უკანასკნელი სვლა გ. ბორისენკოსა და ს. ფურმანის სიახლეა, რაც მათ რამდენიმე წლის წინათ გამოიყენეს) 10. d4 ᲒBD7 (აი რაში მდგომარეობს მხედრის გადაყვანის იდეა—შავები ერთხელ კიდევ იცავენ „e5“ უჯრედს) 11. c4! c6 12. c5! dc 13. de ᲓE8 14. e6 fe 15. ᲒE6+ ᲛᲔh8 16. ᲒC3 ᲒC7 17. ᲒF5 c4 18. ᲒF4 (თამაშის დასაწყისი აშკარად თეთრების სასარგებლოდ წარიმართა— მათ უპირატესობა აქვთ ფიგურების განვითარებაში) 18... ᲓE6 19. ᲒG3 ᲓEc5 20. ᲒD4 ᲚB6 21. e5 ᲔD8

ს. ᲤᲣᲠᲛᲐᲜᲘ



a b c d e f g h

Ი. ᲐᲕᲔᲠᲑᲐᲮᲘ

ყველა შავი ფიგურა ლაბიერის ფლანგზეა. ამ გარემოებას კარგად იყენებს გროსმაისტერი ავერბახი, რომელიც მოდგენო სვლით იერიშს იწყებს მოწინააღმდეგის განმარტოებულ მეფეზე) 22 g:h7 ᲛᲔh7 23. ᲚH5+ ᲛᲔᲒᲔ8 24. ᲒF5 ᲒF8 25. ᲚG6! ᲛᲔh8 (იმუქრებოდა 26. ᲛH6+ ᲛᲔh8 27. ᲒF7+ ᲛᲔᲒᲔ8 28. ᲒG5, რასაც შამათი მოჰყვებოდა) 26. ᲓE4 ᲓE6 27. ᲒF6! (გვერდს უვლის მხედრის აღებასთან დაკავშირებულ გართულებებს, რომლებიც შავებისათვის იქნებოდა ხელსაყრელი) 27... ᲒF6 (შავები წააგებდნენ აგრეთვე 27... gf-ის შემდეგ, რაზეც თეთრები აპირებდნენ ეპასუხნათ 28. ᲔE4 ᲒG7 29. ᲔH4+ ᲛᲔᲒᲔ8 30. ᲛH6+ ᲛᲔh8 31. ᲒF7++ და შამათი შემდეგ სვლაზე) 28. ef ᲒA7. 29. ᲔE4 ᲒF4 30. g:f4 ᲒF5 31. g:f5 ᲔD5 32. g:d5 შავები დანებდნენ. არ შეიძლება ეტლის აღება, რადგან 33. fg+-ის შემდეგ ლაბიერი იკარგება, შემდეგ კი 34. ᲚB6.

გროსმაისტერ ი. ავერბახის მიერ კარგად გათამაშებული დებიუტი დამთავრდა თანმიმდევრულად ჩატარებული ხანგრძლივი იერიშით მოწინააღმდეგის მეფეზე.


რედაქტორი

**დ. ᲛᲔᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.**


## ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲓᲜᲔᲜ ᲩᲐᲓᲠᲐᲙᲘ ᲒᲣᲨᲔᲚᲓᲘ ᲓᲐ ᲨᲢᲔᲘᲜᲘ

**ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ** საქართველოს საიუბილეო საჭადრაკო ჩემპიონატის ფინალური შეჯიბრება. გასულ კვირაღეს გაიმართა მორიგი მესამე ტური.

მაყურებლები ინტერესით ადევნებდნენ თვალს რ. შეინცვიტისა და ტურნირის ლიდერის ე. გუფელდის პარტიას. აქ გათამაშდა ძველი ინდური დაცვა. თეორების იერიშს ლაბიერის ფლანგზე წარმატება არ მოჰყოლია. მალე ინიციატივა ხელთ იგდო ე. გუფელდმა, მან ძლიერი იერიში მიიტანა მოწინააღმდეგის მეფეზე და მესამე გამარჯვება მოიპოვა.

წარმატებით იბრძვის პირველთანრიგოსანი გ. ეგიაშვილი, რომელიც ჩემპიონატის სტარტზე შეხვდა ძლიერ მეტოქეებს — ა. ბუსლაევს, გროსმაისტერ რ. ხოლმოვსა და საზონათაშორისო ტურნირის მონაწილეს ლ. შტეინს. აქედან მან პირველი პარტია აიღო დამთავრა, მეორე გადადო უკეთეს პოზიციაში, ხოლო მესამე ტურის პარტიაც — ლ. შტეინთან აიღო და დამთავრა.

თ. გიორგაძემ მოუგო დ. ჯანოევს, გ. კალატოზიშვილმა — ა. გაგუას; ი. ჩიქოვან-მ. შიშოვის პარტიაში პირველს უკეთესი პოზიცია ჰქონდა, მაგრამ ვერ შეძლო მისი გამოყენება და ყაიმს დასჯერდა. დანარჩენი პარტიები გადადო.

**ᲒᲣᲨᲘᲜ** თბილისას რუსთველის სახელობის საკონცერტო დარბაზში გაიმართა რესპუბლიკური საჭადრაკო ჩემპიონატის მეოთხე ტური.

ლ. შტეინისა და ე. მიქაელიანის შეხვედრაში თავიდანვე იგრძნობოდა ლ. შტეინის უპირატესობა და პარტია მის სასარგებლოდ დამთავრდა. თ. გიორგაძემ ა. იზვოზჩიკოვთან თანაბარ პოზიციაში დაუშვა შეცდომა, წააგო პაიკი და მალე პარტიაც. ა. გაგუამ რ. შეინცვიტთან შეხვედრაში ფიგურა დაკარგა და დამარცხება განიცადა.

წარმატებით იბრძოდა შავებით, გ. გამრეკელი გროსმაისტერ რ. ხოლმოვთან. ეს პარტია 21-ე სვლაზე პოზიციის სამგზის განმეორებით ყაიმით დამთავრდა. ყაიმი იქნა აგრეთვე ფიქსირებული გ. კალატოზიშვილი — ა. ბრეიტმანის, ბ. გურგენიძე — ი. ჩიქოვანისა და ა. ბუსლაევ-ჯ. ბერაძის პარტიებში. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ოთხი ტურის შემდეგ წინ არის ე. გუფელდი, რომელსაც 3 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, ლ. შტეინს 3 ქულა აქვს.

### ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲔᲑᲘ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲠᲔᲜᲑᲣᲠᲗᲝᲗᲨᲘ

**ᲒᲐᲡᲣᲚ** კვირაღეს ვილნიუსში გაიმართა ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშების მორიგი ასპარეზობა კალათბურთში ვაეთი გუნდებისათვის. თამაშობდნენ თბილისის „ფინამოსა“ და ვილნიუსის „სპარტაკის“ გუნდები.

ინიციატივა თავიდანვე ხელთ იგდეს თბილისელებმა და ტაიმი თავიანთ სასარგებლოდ (38:27) დაამთავრეს. შეჯიბრების მეორე ნახევარშიც ინიციატივას დინამოელები ინარჩუნებდნენ, მათ მოიგეს თამაში საერთო ანგარიშით 90:66.

**ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ** „ბურევესტნიკის“ ფრენბურთელ ვაეთა გუნდი, რომელმაც ოთხი მატი მოიგო ზედიზედ თავის მოედანზე, მორიგი ასპარეზობის გასამართავად გროზნოში გაემგზავრა. აქ თბილისელები ჩვენი ქვეყნის პირველობაზე შეხვდნენ ადგილობრივ „სპარტაკს“. პირველი პარტია მოიგეს მასპინძლებმა 17:15. მეორე — თბილისელებმა 15:10. ამის შემდეგ კვლავ გროზნოს ფრენბურთელები დაწინაურდნენ, რომლებმაც მოიგეს მესამე პარტია 15:13. მეოთხე პარტიაში წარმატება „ბურევესტნიკის“ გუნდს ხვდა (15:13). გადამწყვეტ მეხუთე პარტიაში სპარტაკელებმა ძლიერ მეტოქეს (15:8) და გაიმარჯვეს 3:2.

### ᲛᲪᲣᲠᲐᲕᲗᲐ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲔᲑᲘ

**ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ,** 19 თებერვალი. (საკდესი). საბჭოთა კავშირის რეკორდი ჭიბეკთა შორის ცურვაში დაამყარა დღეს მოსკოვის 612 სკოლის კურსდამთავრებულმა ვალერი ემელიანოვმა (არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბი). 16 წლის სპორტსმენმა 200 მეტრი ბრასის სტილით გაცურა 2 წუთსა და 44,4 წამში და თავისი წინანდელი მიღწევა გააუმჯობესა 2,4 წამით.

### ᲡᲐᲕᲔᲚᲔ ᲚᲐᲑᲝᲠᲐᲢᲝᲠᲘᲐ

**ᲙᲘᲔᲕᲘᲡᲘᲡ** (უკრაინის სსრ) სასოფლოსამეურნეო ტექნიკუმის მასწავლებელმა გ. ბონდარმა შექმნა საველე ლაბორატორია, რომლის საშუალებით შეიძლება ნიადაგის ანალიზის გაკეთება. ჩვეულებრივ ნიადაგის ნიმუშები იგზავნება აგრონომიულ ლაბორატორიაში და ნიადაგის ანალიზს რამდენიმე დღე სჭირდება.

საველე ლაბორატორია იწონის 3 კილოგრამს, მოსახმარებლად ადვილია, ნიადაგის მეკავიანობის გამორკვევა შეიძლება 13-15 წუთის განმავლობაში. ბონდარის ხელსაწყო მეტად საჭიროა ნიადაგზე რეაქციების საკონტროლოდ ვეგეტაციის პერიოდში მცენარეთა დამატებითი კვების დროს.

## ᲩᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲘᲗ

**△ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ** დამთავრდა საბჭოთა საზოგადოება „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობის გათამაშება წყალბურთში. ამ ასპარეზობაში წარმატებით გამოვიდა თბილისის „ბურევესტნიკი“, რომელმაც დაამარცხა ყველა მეტოქე და პირველი ადგილი დაიკავა. ერთადერთი ფრე ფიქსირებულ იქნა თბილისელთა შეხვედრაში სსრ კავშირის სტუდენტთა ნაკრებთან, რომელიც ამ შეჯიბრებაში კონკურსგარეშე გამოდიოდა.

**ᲡᲝᲕᲘᲔᲗᲝᲓᲝᲜᲔᲪᲘᲐᲨᲘ** დამთავრდა უძლიერეს ჩოგბურთელთა ასპარეზობა სსრ კავშირის ზამთრის პირველობაზე.

გუნდურ შეჯიბრებაში უძლიერესი აღმოჩნდა მოსკოვის გუნდი. საქართველოს ჩოგბურთელთა კოლექტივმა მეოთხე ადგილი დაიკავა. პირად შეხვედრებში ქალთა შორის გაიმარჯვა ა. დმიტრიევამ, ვაეთა შორის — თ. ლეიუსმა. ქალთა წყვილებში პირველი ადგილი დაიკავეს ა. დმიტრიევამ და ი. რიაზანოვამ (თბილისი), ვაეთა წყვილებში — თ. ლეიუსმა და ე. პოტანინმა, შერეულ წყვილებში ა. დმიტრიევამ და ნ. ლიხაჩოვმა,

### ᲕᲐᲚᲔᲠᲘ ᲒᲠᲣᲛᲔᲚᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

**ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ,** 18 თებერვალი. (საკდესი). საბჭოთა სპორტსმენმა ვალერი ბრუმელმა კვლავ მოიპოვა ბრწყინვალე წარმატება და დაადასტურა მსოფლიოს საუკეთესო მხტომელის რეპუტაცია. პირველად გამოდიოდა რა ნიუ-იორკის „მედისონ სკვერ-გარდენის“ დახურულ სტადიონზე გამართულ მძლეოსანთა შეჯიბრებაში, მან გადალახა 2 მეტრი და 21 სანტიმეტრი სიმაღლე და პირველი ადგილი დაიკავა, უკან ჩამოიტოვა სახელმოხვეჭილი ამერიკელი მხტომელი, მსოფლიო რეკორდსმენი ჯონ თომასი. 16.000 ამერიკელი სპორტის მოყვარული, რომლებითაც გაჭედილი იყო სტადიონის ტრიბუნები, აღტაცებით მიესალმა მძლეოსნის გამარჯვებას, რომლის წითელ მაისურზე გამოსახული იყო საბჭოთა კავშირის გერბი.



## ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

### ᲮᲣᲗᲘ ᲤᲘᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘ

**ᲒᲣᲨᲘᲜ** თბილისის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში დამთავრდა სასპორტო საზოგადოება „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს საჭადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალური ასპარეზობა.

აქ ფინალში გასულისათვის ერთმანეთს ეცილებოდა 15 მოჭადრაკე ქალი და 18 ვაეი — ოსტატობის კანდიდატები, პირველთანრიგოსნები. დებულებით ქალებიდან ფინალში გადიოდა პირველ ადგილებზე გამოსული ს